პროექტი შეთანხმებულია (AR1522543) და მშენებლობის ნებართვა გაცემულია (AR1542003) განაშენიანების რეგულირების გეგმის(AR1414416) საფუძველზე. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად.

იგივე დადგენილების თანახმად, ძირითადი ტექნიკური გაბარიტებისა და მონაცემების შენარჩუნებით, ხორციელდება პროექტის კორექტირება.

პროექტის კორექტირებისას კ1 და კ2 მაჩვენებლები ექვემდებარება დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს (მაჩვენებლები დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით). გამწვანების ფართობი გაიზარდა ფიჭური ფილების ხარჯზე.

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის დაანგარიშება:

შეთანხმებული პროექტის (AR1522543) კ2 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელია: კ2 = 4326.7 მ^2.
კორექტირებული პროექტის კ2 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელია: კ2 = 4256.56 მ^2.
შეთანხმებული და საპროექტო კ2-ების სხვაობის რიცხვითი მნიშვნელობა შეადგენს 4326.7 - 4256.56 = 70.14 მ^2.

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი შეადგენს განსხვავებული ფართობის ოთხმაგ ოდენობას ლარში: 70.14 * 4 = 280.56 ლარი.